
8:45 AM 0.8KB/s
24.03.2020
s22:12345678910 დისტრიბუტორი (2)
ტრანს.: AA111BB მძღ.: სატესტო (12345678910)
სატრ. №: 0516030944 (24.03.2020)
ახალი ზედნადების გაწერა
ზედნადებები rs.ge-ზე
გაწერილი ზედნადებები
ტელეფონში
კლიენტები
ახ. ქვეზედნად.
საქ. დაბრ.
შიგა გადაზ.
დისტრიბ. ზედნ-ბი rs.ge-ზე
რეგისტრაცია
გაწერილი
საქონელი
ახალი დისტრიბუციის საბუთის შექმნა

ახალი დისტრიბუციის საბუთის გაწერისას გამოვა ფანჯარა, სადაც უნდა ავირჩიოთ დისტრიბუციის ზედნადების ტრანსპორტირების თარიღი და დრო. შევარჩიოთ საქონლის ჩამონათვლის ტიპი

**ნაშთის გადმოტანა:** გადმოვა წინა სატრანსპორტოს დარჩენილი ნაშთი;

**ცარიელი ზედნადები:** გადმოვა მხოლოდ საქონლის ცამონათვალი;

**ძველის გაგრძელება:** გააგრძელებს ძველ ნამუშევარს.







1. მძღოლის, ტრანსპორტის და ტრანსპორტირების დაწყების მისამართის ცვლილება

სურათი 1: 1. მძღოლის, ტრანსპორტის, ტრანსპორტირების დაწყების მისამართის; 2. მძღოლის, ტრანსპორტის, ტრანსპორტირების დაწყების მისამართის რედაქტირების გამოძახება; 3. მონაცემების გასუფთავება; 4. საქონლის სრული სია; 5. საქონლის ჯგუფის გამოყოფა; 6. გაწერილი საქონელი; 7. ზედნადების rs.ge-ზე ატვირთვა; 8. საქონლის ძებნა; 9. საქონლის სია.

ყვითლად მონიშნულია საქონელი, რომელიც ძველი დისტრიბუციის ზედნადებიდან გადმოვიდა, მწვანედ დამატებული საქონელი, თეთრად საქონელი, რომელის საბუთში არ მოხვდება. ზედნადებში საქონლის დამატება ხდება შესაბამის საქონლის ჩანაწერზე დაწკაპუნებით (იხ.სურათი 2). გამოსულ ფანჯარაში ვწერთ დასამატებელ რაოდენობას, გასაყიდ ფასს და ვინახავთ.



რეგისტრაციის ფორმების საშუალებით შესაძლებელი საქონლის, საქონლის ჯგუფის, რეგიონების მონაცემების დამატება და რედაქტირება. ჩანაწერი, რომელიც მოინიშნება როგორც აქტიური, გამოჩნდება ზედნადებებთან მუშაობისას. არააქტიური ჩანაწერები სიაში ჩანს წითელ ფონზე.



ახალი ჩანაწერის დამატება ხდება  ღილაკზე დაჭერით.

ქვემოთ მოცემულია ახალი საქონლის დამატება

1. საქონლის დაჯგუფება; 2. საქონლის ჯგუფი; 3. საქონლის კოდი; 4. საქონლის დასახელება; 5. საქონლის ერ-თეული (იმ შემთხვევაში თუ საქონლის ერთეული სიაში არ არის ვირჩევთ „**სხვა**“-ს); 6. საქონლის დამატებითი ერთეული - ივსება მხოლოდ მაშინ თუ 5 ველში ავირჩევთ „**სხვა**“-ს, დანარჩენ შემთხვევაში ცარიელს ვტოვებთ. 7. ფასი; 8. დაბეგვრის ტიპი - ჩვეულებრივი ან დაუბეგრავი (დაუბეგრავის არჩევისას გამოიჩინეთ ყურადღება, გადაამოწმეთ ნამდვილად არის თუ არა ეს საქონელი დაუბეგრავი შემოსავალში); 9. წონა (არ არის აუცილებელი, ვიყენებთ მხოლოდ მაშინ თუ გვჭირდება მანქანის ბორტზე ჯამური წონის კონტროლი).

ყველა საჭირო ველის შევსების შემდეგ ვაჭერთ **OK**-ს.

**საქონლის დაჯგუფებას** ვიყენებთ მხოლოდ მაშინ თუ გვსურს საქონლის გარკვეული ჯგუფზე ცალკე ზედნადების გაწერა. ასეთ შემთხვევაში უნდა ჩავრთოთ პარამეტრებში საქონლის დაჯგუფების ალამი.

**საქონლის ჯგუფებად** დაყოფა გვეხმარება დიდი რაოდენობის საქონლის ჩამონათვლის დროს საქონლის ადვილად მიგნებაში.






მუშაობის დაწყებამდე უნდა ჩამოვტვირთოდ დისტრიბუციის ზედნადები ამისთვის ვაჭერთ საწყის ფორმაზე 

ღილაკს, ვირჩევთ დისტრიბუციის შესაბამის ზედნადებზე ხანგრძლივად და გამოსულ კონტექსტურ მენიუში ვირჩევთ ჩამოტვირთვას (ჩამოსატვირთ დისტრიბუციის ზედნადებს უნდა ქონდეს ყვითელი ფონი. მწვანე ფონი აქვს უკვე დასრულებულ ზედნადებს). ან ვხსნით ზედნადებს და ვაჭერთ „ჩამოტ." ღილაკს.




ვადასტურებთ ზედნადების ჩამოტვირთვის ბრძანებას (**გაფრთხილება:** ჩამოტვირთვის შემდეგ ყველა ძველი ჩანაწერი გასუფთავდება)









ჩამოტვირთვის შემდეგ პროგრამის საწყის ეკრანზე აისახება დისტრიბუციის ზედნადების ნომერი და თარიღი




**კლიენტის დამატება**

შევდივართ 

კლიენტების სიაში ვაჭერთ  ღილაკს. გამოსულ კლიენტის დამატების ფანჯარაში შეგვყავს კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი (1) ვაჭერთ rs.ge-ს ღილაკს (2) - სწორი მონაცემის შემთხვევაში შეივსება (3) და (4) ველები. საჭიროების შემთხვევაში (4)-ე ველი შეგვიძლია შევცვალოთ ნებისმიერი ჩვენთვის სასურველი ტექსტით. მისამართი (თუ პარამეტრებში ჩართულია მისამართში რეგიონის დამატების ალამი) შედგება ორი ნაწილისგან რეგიონის დასახელება (5) და დარჩენილი მისამართი (6). მე-(7) ველში შეგვყავს ტელეფონის ნომერი (საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია მასზე დარეკვა მე-(8) ღილაკზე დაჭერით). თუ ჩავრთავთ საბითუმოს ალამს (9) მაშინ საქონელზე ფასდაკლების შემთხვევაში პროგრამა დაიმახსოვრებს ფასს საქონელზე და შემდეგი გაყიდვისას მოგვცემს იგივე ფასს (**გაფრთხილება:** იმ შემთხვევაში თუ საქონლის ფასი გაძვირდება პროგრამა მაინც ძველ დამახსოვრებულ ფასს გამოიტანს). ყველა საჭირო მონაცემების შეტანის შემდეგ ვაჭერთ ღილაკს **შენახვას**






მონაცემების დამახსოვრების შემდეგ შეგვიძლია გავწეროთ ახალი ქვეზედნადები.  ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოსულ მენიუში ვირჩევთ **ახ. ქვეზედნადებს.**



ზედნადების გაწერის დაწყება შეგვიძლია რამდენიმე სხვადასხვა ხერხით. ერთ-ერთი მოცემულია ზევით, მეორე - კლიენტების სიაში კომტექსტური მენიუს გამოძახებით (1) - **ახალი ზედნადები**-ით, მესამე საწყისი ფორმიდან **ახ. ქვეზედნად.**-ე დაჭერით (ამ შემთხვევაში კლიენტს ვირჩევთ 1-ლ ღილაკზე დაჭერის მერე გამოსულ სიაში.









**ზედნადების ფორმა**

1. კლიენტის მონაცემები; 2. კლიენტის შერჩევის ფანჯრის გამოძახება; 3. პროცენტული ფასდაკლება; 4. თანხის გადახდა; 5. საქონლის სრული სია; 6. საქონლის ჯგუფის გამოყოფა; 7. გაწერილი საქონელი; 8. ზედნადების შენახვა rs.ge-ზე ატვირთვის გარეშე; 9. ზედნადების შენახვა და rs.ge-ზე ატვირთვა; 10. საქონლის ძებნა; 11. საქონლის სია.

მწვანე ფონით მონიშნულია გაწერილი საქონელი. ფორმის თავზე მოცემულია ჯამური თანხა, რომელის ზედნადების rs.ge-ზე ატვირთვის შემდეგ ზედნადების ნომრით იცვლება



საქონლის ზედნადებში დამატება ხორციელდება შესაბამის საქონლის ჩანაწერზე დაწკაპუნებისას გამოსულ ფანჯრის საშუალებით.

ვუთითებთ საქონლის რაოდენობას, ფასს, ჯამურ თანხას და ვინახავთ.



გაწერილი ზედნადებების ნახვა შეიძლება  ღილაკზე დაჭერით. მწვანე ფონით მოცემულია rs.ge-ზე ატვირთული და დასრულებული ზედნადებები, წითლად გაუქმებული, თეთრად rs.ge-ზე აუტვირთავი ზედნადები.

ზოგ შემთხვევაში, ცუდი ინტერნეტისას, ზედნადები შეიძლება rs.ge-ზე აიტვირთოს, მაგრამ პროგრამაში ეს მონაცემების არ დაფიქსირდეს - rs.ge-სთან კავშირის გაწყვეტის გამო. ასეთ შემთხვევაში შევდივართ ზედნადებების ჩამონათვალში და ვაჭერთ ზედნადებზე ხანგრძლივად და გამოსულ კონტექსტურ მენიუში ვირჩევთ ატვირთვას.

ზედნადების კორექტირებისთვის ვხსნით ზედნადებს (ჩანაწერზე დაწკაპუნებით) და ვაჭერთ შეცვლის ღილაკს. კორექტირების დასრულების შემდეგ ისევ ვაწკაპუნებთ rs.ge-s ღილაკს.



# საქონლის დანბრუნება

საქონლის დაბრუნებისთვის სასურველია ვისარგებლოთ საწყის ფორმაზე არსებული ღილაკით) 





ვაჭერთ „საქ. დაბრ.“




ვირჩევთ კლიენტს, რომლიდანაც საქონელს ვიბრუნებთ




ვირჩევთ თარიღის დასაწყისს, სავარაუდოდ რომელ დროის შუალედშიც დასაბრუნებელი საქონელი იყო მიტანილი




ვირჩევთ დასაბრუნებელ საქონელს და ვტვირთავთ rs.ge-ზე

თუ პარამეტრებში ჩართულია (სხვადასხვა) **„დაბრუნების კონტროლი“**-ს ალამი ამ შემთხვევაში დაბრუნების ზედნადებები ტელეფონში არ ინახება. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ rs.ge-ზე.

დაბრუნების კონტროლის გააქტიურება საშუალებას გვაძლევს დავაბრუნოთ საქონელი იგივე ფასში, რა ფასშიც იყო მიწოდებული კლიენტზე